გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთი [illegible]ვეთად და კერძო განცხადებათა [illegible] მიმართონ: თვითონ რედაქციას, ...ეიაში, აბჭალის ქუჩაზედ, გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892



დღეს, 29 დეკემბერს, დილის ათ საათზედ, ქაშუეთის წმიდა გიორგის ეკკლესიაში, გარდახდილ იქმნება წლის წირვა და შემდეგ პანაშვიდი განსვენებულის სტატსკი სოვეტნიკის **გიორგი ეფრემის ძე ნათიშვილის** მოსახსენებლად. ამისათვის განსვენებულის ნათესავთა და ნაცნობთ ეუწყებათ, რათა პატივი სცენ განსვენებულს და მობრძანდნენ ეკკლესიაში.

ქართველ საზოგადოების საყურადღებოდ.
გამოვიდა და ისყიდება
„წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ." კანცელარიაში და სხვაგანაც
ვალერიან გუნიას მიერ
შედგენილი და გამოცემული

**საქართველოს კალენდარი**
**1893 წ.**

კალენდარი შეიცავს 500-მდე კარგად დასტამბულ გვერდს დიდის ფორმატისას. «საქართველოს კალენდარი» 1893 წლისათვის დასურათებულია მრავალის, როგორც უცხო ქვეყნების, აგრეთვე ქართველ მწერალ მოღვაწეთა ნახატებით.
ფასი უყდოდ **45** კაპ. ყდაში **55** კაპ.

უბის წიგნი 1893 წლისათვის
მშვენიერის ყდიან-ყარანდაშით და რეზინით **40** კაპ.

**სახალხო კალენდარი 1893 წ.**
მრავალის ცნობებით და საჭირო გამოსადეგ რჩევა-დარიგებით
ფასი ერთი შაური.
იქვე ისყიდება ეხლა-ხან გამოსული ახალი წიგნი,
ვალ. გუნიას მიერვე შედგენილი,

ქართული მიწერ-მოწერის კრებული

სრული და ვრცელი სახელმძღვანელო სხვა-და-სხვა ბარათებისა და წერილების შესადგენად უოველ გვარ შამთხვევისთვის. წიგნში 208 გვერდია სამ ნაწილად.

**ფასი ორი აბაზი, ყდით ათი შაური**

ყველა ვინც ნაღდ ფულად გამოიწერს ამ წიგნებს არა ნაკლებ 4 და 5-ის ცალისა, დაეთმობა 20%.

ვისაც საკამისიოდ ჰსურთ კალენდრების წაღება, შეუძლიანთ მიჰმართონ „წერა-კითხვის გამავრც. საზ." წიგნის მაღაზიას.

უმთავრესი საწყობი გამომცემელთან: ფრეილინის ქუჩა № 5,
(6—1)

**სახლების ამშენებელ ამხანაგობისაგან** სახლების ამშენებელ ამხანაგობის კანცელარიაში მსურველთ შეუძლიანთ მოილაპარაკონ მმართველთან 1 იანვრიდამ: ორშაბათობით, სამშაბათობითა და ოთხშაბათობით, დილის 10 საათის ნახევრამდე, ხოლო კვირაობით—12 საათამდე.
(10—4)


† **დასაფლავება ი. ი. კერესელიძისა.**

შაბათს, 26 დეკემბერს, დასაფლავებულ იქმნა დიდუბის ეკკლესიის გალავანში „თანხმად ანდერძისა", უდიდ-ამბოდა და უდიდ-გამოჩინებით განსვენებული ი. ი. კერესელიძე. მიცვალებული გამოასვენეს სადგურიდამ, რომელიც ავლაბარშია, დილის 10 საათზედ. გამოსვენებაზედ დაესწრნენ, სხვათა შორის, ქალაქის მოურავი თ. არღუთინსკი-დოლგორუკი, გუბერნიის მარშალი თ. ლ. ა. მაღალაშვილი და ზოგიერთნი წარმომადგენელნი ჩვენის ინტელიგენციისა. გზა-გზა პროცესიას მიემატნენ ბევრნი სხვანიცა და დიდუბის ეკკლესიაში საკმაოდ ბლომად მოჰგროვდნენ მსურველნი უკანასკნელის ვალის გარდახდისა იმ კაცის წინაშე, რომელმაც მცირე ღვაწლი არ დასდო ჩვენს მწერლობასა და ჩვენის ჟურნალ-გაზეთობის საქმეს. განსვენებულის კუბოს ამკობდა გვირგვინები, რომელიც გამოეგზავნათ სხვა-და-სხვა ჩვენებურ დაწესებულებათა და საზოგადოებათა. სულ 8 გვირგვინი იყო. „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა", „ქართველ მოვაჭრეთა", „ივერიისა" და «მეურნეს» რედაქციებისა, „Тиф. Листокъ"-ისა, „დრამატიულ საზოგადოებისა", „ქართველთ საზოგადოებისა" და „ქართულ წიგნების გამომცემელ ამხანაგობისა", რომლის ლენტზედაც ეწერა ლექსი:

...და გვწამს, რომ დარი იდარებს,
დროც მოვა უკეთესია:
ნაყოფს მოიტანს შესაფერს
ის, რაც შენ დაგითესია.

მწირველი ბრძანდებოდა მისი ყოვლად უსამღვდელოესობა ეპისკოპოსი გორისა ალექსანდრე. ყოვლად სამღვდელომ ანდერძის აგების წინად წარმოსთქვა მცირე სიტყვა და განმარტა ღვაწლი განსვენებულის ივანე ივანეს ძის კერესელიძისა ხოლო ანდერძს შემდეგ მიჰმართა საზოგადოებას დარიგებითა და თხოვნით, რომ ყველამ მიჰბაძოს განსვენებულს და, ვისაც როგორ და რამდენადაც შეუძლიან, დაეხმაროს ჩვენს ქვეყანაში სწავლა-განათლების საქმეს, იყოლიოს სტიპენდიატები, შესწიროს სკოლებს ფული და ეცადოს მდაბიო და უსწავლელ ხალხში წერა-კითხვისა და სწავლა-ცოდნის გავრცელებას. თუ მდაბიო ხალხი არ განათლდა, ყოველივე ამაო იქნებაო, ბრძანა ყოვლად სამღვდელომ და დიდის გულკეთილობით და გულ-წმინდობით სიტყვა გადაჰკრა იმათ, ვისაც აქვთ შეძლება და ჰზოგავენ ქვეყნის განათლების საქმისთვის. საფლავზედ ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა ბ-ნმა პ. ი. უმიკაშვილმა.

ასე წყნარად და უმანიფესტაციოდ დასრულდა ეს სამწუხარო ამბავი განსვენებულის ი. კერესელიძის მიწად დაკრძალვისა. საუკუნოდ დარჩება ხსენება ჩვენის განათლების ისტორიაში ამ მწერლობის პირველ-მოღვაწესი და ქართულ ჟურნალ-გაზეთობის პიონერისა.

## ახალი ამბავი

*** ჩვენ მოგვივიდა შემდეგი დეპეშები განსვენებულის ივანე ივანეს ძის კერესელიძის გარდაცვალებისა გამო:

„გთხოვთ გარდასცეთ პატივცემულ მოღვაწის კერესელიძეს სახლობას, რომ ყველანი დიდადა ვსწუხვართ და ვგლოვობთ ჩვენის მოღვაწის სიკვდილის გამო". ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავადი წერეთელი».

ახალქალაქიდგან: „საზოგადოებისათვის დაუვიწყარისა და ქართულ ლიტერატურის უხუცესის „მოღვაწის სიკვდილმა დიდად დაგვაღონა" და მგლოვიარედ დაგვტოვა. ახალქალაქის ქართველობა».

ყვირილიდგან: „ახალგაზდობის სახელით გაუწყებთ ჩვენს განუსაზღვრელ მწუხარებას პატიოსანის მოღვაწის კერესელიძეს გარდაცვალებისა გამო". კარლო ჩხეიძე.

*** ჩვენ მივიღეთ გიორგი ნ. შათირაშვილის მიერ შეგროვილი 10 მანეთი განსვენებულის ივანე ივანეს ძე კერესელიძის სახლობისთვის გარდასაცემად. შემომწირველთა სია: ისაკ ბედინიძე—2 მ., გიორგი ჯორჯაძე—3 მ., დავით მკერვალიშვილი—1 მ., ზაქარია ხმალაძე—1 მ., გიორგი შათირაშვილი—3 მ. სულ 10 მ. კიდევ მივიღეთ ერთი მან. ვლადიმერ მაჰვარიანისაგან.

*** ქალაქის გამგეობის კასაში უკვე შეგროვილა 40,000 მანათამდე ფული მომავალ 1893 წლისთვის სავაჭრო ქაღალდებისა და პატენტების აღებთაგან.

*** მომავალ წლის 24 იანვარს შესრულდება 50 წელი ტფილისის დედათა ინსტიტუტის დაარსების დღიდგან. ამ დღეს ინსტიტუტი დიდის ამბით იდღესასწაულებს.

*** ხვალ, ოთხშაბათს, 30 დეკემბერს, საღამოს $7^1/_2$ საათზედ, დანიშნულია მორიგი კრება კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა. მორიგ საქმეთა განხილვის გარდა, კრება მოისმენს ბ-ნ ა. ს. ფირალოვის მოხ-

## ფელეტონი

**ქრისტინე**

(მოთხრობა)

VII *)

მთელის ერთის კვირის განმავლობაში ეგდო ქრისტინე იმ ოთახში, რომელიც ნატალიამ მისცა; ხან სტიროდა და ჰფიქრობდა რაღასაც თვალ გაშტერებული. სონას შეჰქონდა ჩაი და სადილ-ვახშამი. მაგრამ ქრისტინეს ჭამის მადა არა ჰქონდა. ჩაის-კი შეეჩვია და, მისის ფიქრით, ძალიან შესაფერიც იყო ეს სასმელი იმის ჯავრიანის გულისათვის. ნატალიასთან და სონასთან ქრისტინე არ შედიოდა, რადგანაც ჰხედავდა, რომ „სტუმრები" ხშირად დადიოდნენ იქ. ზოგიერთი ამ სტუმართაგან განზრახ გაივლიდა ფანჯარასთან და დაუწყებდა ქრისტინეს ჰვრეტას. ამ ჰვრეტისა ძლიერ ეშინოდა ქრისტინეს. ხანდახან შედიოდი მასთან ნატალია და დაუწყებდა მასლაათს:

— რა ქენი, ქალო, კიდევ სკუჩნათა ხარ? ეე, რა ამბავია, შენ გაზდას! როგორ იქნება! რა ჰკუაა, შვილო, რომ ამ ანგელოზის თვალებს ცრემლითა სწვავ! სულ რომ ეგრე იცით ამ ყმაწვილმა ქალებმა, პირველად ჯავრიანობთ და ჯავრიანობთ! მერე-კი, როცა შაეჩვევიან, ცა ქუდად არ მიაჩნიათ და დედამიწა—ქალამნად... რამდენი მინახავს ეგრე, შენსავით, პირველათ სულ „სკუჩნაობდა", სტიროდა. მაგრამ, როცა გაიცნო ქალაქი, მერე-კი!.. ქალაქი სხვა რამეა, აქ თუ ყმაწვილმა ქალმა ფეხი შემოდგა, მერე ქალაქისაა, ველარსად წაუვა!

ქრისტინეს ძლიერ ეჯავრებოდა ნატალიას გაზვიადებული ლაპარაკი და ეშმაკურის თვალების მეტყველება. ძალა-უნებურად უგდებდა ყურს მის ლაპარაკს და მხოლოდ მაშინ ამოისუნთქავდა ხოლმე თავისუფლად, როცა დედაბერი გავიდოდა იმის ოთახიდან. სონას დანახვა-კი დიდი ნუგეში იყო მისთვის. მხოლოდ ერთ სონასთან შეეძლო ყოველისავე თავის დარდების გამჟღავნება. უყვარდა მისი ტკბილი ლაპარაკი. სონაც თავის მხრივ სცდილობდა, სხვა თუ არა, ნუგეშიანი სიტყვა მაინც ეთქვა ქრისტინესთვის.

— იცი, სონა, შინ დაბრუნებას ვფიქრავ. მარა რა ვქნა, რომ ბაბას ვერ დევენახვები, მომკლავს. ნენას კიდევ, რავაც იქნება, შევირიგებ. მარა ბაბაი, ბაბაი... მომკვლას! შენ რას მირჩევ?—ჰკითხა ერთ დღეს ქრისტინემ სონას.

— შინ დაბრუნება? არ გირჩევ. უამისოთაც შავს დღეს გაყენებდნენ და ახლა, ამდონ ხანს ქალაქს ნამყოფი რომ შინ დაბრუნდე, იფიქრე, რაღას გიზმენ! შინაური და გარეული ყველა შენ აგიღებს ყბად,—ურჩია სონამ.

— აგია, ხო, აგი მაშინებს მეც. ღმერთო, ღმერთო! რეზა გამაჩინე ასე უბედური! რომ იცოდე, სონა, რაფერ მენატრება ჩემი გოგის ნახვა! ისე ღამე არ გავა, რომ სიზმარში არ ვნახო. ხან ვითამ ტირის, ტირის, ტირის. ხან მისებურა მიმზერს თვალებში, წუხელი ცხადი მეგონა, ისე ჩავაწვინე აკვანში და ძუძუს ვაძლევდი. ნეტაი მომკლა და ერთი დამანახვა!

ამ ლაპარაკის დროს ქრისტინე ჩვეულებრივად არ სტიროდა. მაგრამ მის ხმაში და სახეზე გამოუთქმელი სევდა-ნაღველი იხატებოდა.

— ეგ რო მცოდნოდა, ამისთანა ნაღვლიანი გულის იყავი, არაფლის გულისთვის არ წამოგიტანდი. ეხლა რაღა დროსია! უთხრა სონამ.

— არ წამომიტანდი? მაშვინ თუნდა გეთქვა ჩემთვის—რავაც მიხვალ, ცოცხლათ შეგჭამენო, მაინც წამოვიდოდი, ისე მოძულებული მქონდა თავი. ღმერთს გეფიცები, სამჯერ მიველი ჩვენი წისქვილის სათავანთან, რომ ტპაია, იქინეი, ჩავარდები და დევირჩობი მეთქი. მარა ოხერი სული მწარე ყოფილა! ვერ გავბედე და დავბრუნდი.

— მერე, შე სულელო, ცოდვა არ იყო, ამისთანა ჟუჟუნა თვალებს დასარჩობათ იმეტებდი! თავს როგორ დაირჩობ! თავს მარტო გიჟები ირჩობენ,—ხუმრობის კილოთი უთხრა სონამ. იმასაც ბევრი ჯავრი და ნაღველი გამოეცადა, მაგრამ, მიუხედავად იმისა, გარეგნობით რომ მუდამ კმაყოფილი და მხიარული იყო, როცა მარტო დარჩებოდა, მწარედ დაფიქრდებოდა ხოლმე: „რა სიცოცხლეა, ჩემი სიცოცხლე! ჯერ, სანამ ეგ სახე შემრჩენია, ვილაც ათასი ოხერის სათამაშოდ და მათი გახურებული გულის გასაგრილებლად უნდა ვეგდო, ისიც ლუკმა პურის და ტანის დასამოსი ჰინჰისათვის! მერე როცა მოვხუცდები, რა მომელის! ვინ იცის, მოხუცებამდინაც რომელი სენი სად დამალპობს!" ასეთის უნუგეშო, სასო-წარკვეთილის თვალით უყურებდა სონა თავის ცხოვრებას. მაგრამ რა ექნა? გარემოების წყალობით ერთხელ ჩავარდნილი ამ გვარ ცხოვრების მორევში, ველარ ჰხედავდა ამოსავალ გზას და მიცურავდა მის ტალღებში.

*) იხ. „ივერია" № 272.

სენებას: დაზღვევა ვენახებისა და ძვირფასის მცენარეულობისა ამიერ-კავკასიაში. კრებას შეუძლიანთ არა-წევრნიც დაესწრონ.

*** ყუბიდგან გვატყობინებენ, რომ იქ ერთს მემამულეს ჰსურს თავის მამულში მუშებათ იყოლიოს ქართველ გლეხთაგანნი, რიცხვით თორმეტიოდე კაცი. ყოველ თვეში მიეცემა ჯამაგირად 12 მან. თითოს და ამას გარდა სმა-ჭამა მემამულის ხარჯით იქნება. თუ, ვინიცობაა, წლის დასასრულს მუშამ მოისურვა სამშობლოში დაბრუნება, გზის ხარჯი მიეცემა მემამულესაგან. დაწვრილებით პირობის შეტყობა შეიძლება ამ ადრესით: „ყუბა, არჩილ სტეფანეს ძეს დარეჯანაშვილს“.

*** სამურზაყანო: აგერ ორმოცდა-ათი წელი სრულდება მას აქეთ, რაც დ. ოქუმი დაარსდა. ამ ხნის განმავლობაში დიდი სარგებლობა მოუტანა დ. ოქუმმა სოხუმის მთელს ოლქს და განსაკუთრებით სამურზაყანოს. ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებამ დიდი ხანია გაჰმართა აქ თავის ხარჯით ორ-კლასიანი სამრევლო სკოლა. ამავე საზოგადოებამ ააშენა ოქუმში სამი-ოთხი სხვა შენობაც ეკკლესიის კრებულისათვის. მთავრობამაც ოქუმშივე ააშენა პოლიციის სამმართველოსთვის დიდი ორ-სართულიანი სახლი, რომელიც ათას-თუმნამდე დაჯდა. სამურზაყანოს მკვიდრთა შორის გაცოცხლდა სურვილი სწავლისა და მრეწველობისა, მაგრამ ამ უკანასკნელ დროს ზოგიერთ გავლენიან კაცებმა მოისურვეს დ. ოქუმიდგან სხვაგან გადატანა პოლიციის სამმართველოსი და მთელის დაბისა ისეთ ალაგას, სადაც ციებ-ცხელება იცის.

*** ბარის ოსეთი: საითაც მიიხედამს კაცი ამ ჟამად ბარის ოსეთში, ყველგან ერთსა და იმავე ჩივილსა და მწუხარებას გაიგონებს ყველასაგან: „რა უნდა ვქნათ, არ ვიცით, ტყეს ალარსაით გვანებებენ, შეშა არა გვაქვს და რითი და რა გზით უნდა წავიდეთ იოლად უშეშოთაო.“ მართლაც და, დიდი სამწუხარო ანბავია ეს ბარის ოსებისთვის. ამ ჟამად არ საითკენ გზა და ნება არა აქვთ, რომ შეშა მოიტანონ. ამ ცივ ზამთარში ადვილად წარმოსადგენია, რა შევიწროებაში იქნებიან უშეშობით საბრალო ბარის ოსები; ამიტომ ურიგო არ იქნება, მთავრობამ წამალი დასდოს რამე ბარისოსებს, და, თუ უფასოდ ალარ მისცემენ შეშის ზიდვის ნებას სახელმწიფო ტყიდან, ფასით მაინც ნება დართონ რომელსამე ტყიდგან შეშის ზიდვისა ბარის ოსებს.

*** კავკავი: ჩვიდმეტს ამ თთვეს გაუქმდა კარანტინი კავკავში, რომელიც საქონლის ჭირის გამო აქამდინ შეკრული იყო, და არსაიდგან ხარ-ძროხას არ უშვებდენ; გაუქმდა აგრეთვე კარანტინები, რომელიც საქონლის ჭირის გამოისობით დღემდე იყო. ზოგ-ზოგ ბარის ოსეთის სოფლებიდგან დაიწყეს ზიდვა ხარის ურმებით კავკავში სხვა-და-სხვა სანოვაგესი გასასყიდად.

*** ქუთაისი: ამას წინად ქუთაისს მოხდა იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების კრება სასულიერო სასწავლებლის ხარჯთ-აღრიცხვისა და სხვა საქმეთა განსახილველად. შემდეგ დიდის ხნის კამათობისა, კრებამ ერთხმად გარდასწყვიტა პანსიონის გაუქმება. პანსიონში იმყოფებოდა 30 მოწაფე. ეპისკოპოსმა გაბრიელმა არ დაამტკიცა ეს გადაწყვეტილება. დეპუტატთ მაინც თავისი არ დაიშალეს. რაც ფული პანსიონზე გვეხარჯება, 50 შეგირდს შევინახავთ იმითაო. ეპისკოპოსმა დანიშნა კომისია ამ საგნის საბოლოოდ განსახილველად. კომისიამ 22 დეკემბერს გაათავა ეს საქმე და დაადგინა გაუქმება პანსიონისა.

მიზეზი პანსიონის გაუქმებისა იყო სასწავლებლის შენობის უხერხობა პანსიონისთვის, თითოეულ პანსიონერს დაენიშნა თთვეში ცხრა მანათი.

*** სოფ. ქარელი (გორის მაზრა): ამ თვის 22, ღამის მესამე საათზე, ბარგის მატარებლიდგან № 23, გომის და ქარელის შუა, მე 196 ვერსზე, გადმოვარდა კანდუქტორი კრიაგინი! საბრალო თავით დაცემულიყო, თავი გახეთქოდა და იმ წამსვე სული დაელია. ეს ამბავი გაიგო თუ არა გზის მკეთებელმა, მაშინვე დეპეშით შეატყობინა, ვისაც ჯერ არს. იმ დღესვე მოვიდნენ მაზრის ექიმი და გამომძიებელი; ექიმმა მიცვალებულს თავის სარქველი ახადა და შეამოწმა, რომ კრიაგინი ძალზე მთვრალი ყოფილა. მიცვალებულის გვამი ქარელის სადგურზე მოასვენეს, სადაც კუბო და ვაგონი მზად იყო მიცვალებულის გვამის წასასვენებლად. ამ თვის 23 მიცვალებულის გვამი წაასვენეს ტფილისის სადგურზე ნათესავებისთვის გადასაცემად.

*** გორი: მეტად დიდი თოვლი მოვიდა აქეთ. გუშინ-წინ მატარებლებმა ველარ შესძლეს სიარული ხაშურსა და გომს შუა, ისეთი თოვლი დასდო და თან ისეთი ნამქერი დაჰყვა. გუშინ გზა შეიკრა გორსა და გომს შორისაც. ამბობენ, რომ იქნება ერთს დღეს ვერც-კი მოასწრონ გზის გაწმენდაო.

*** არუთინ ტამაისანცმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ 24 დეკემბერს ღამის 3 საათზე, ელისაბედის ქუჩაზე, ჩემთან მომუშავემ ალექსანდრე კაპრიელოვმა ყუთი გამიტეხა და 12 მან. ღირებული საათი და 230 მან. ფულად მომპარაო. დამნაშავეს დაეძებენ.

*** 27 დეკემბერს, საბოტანიკო ქუჩაზე მაჰმად ჰასან-ოღლიმ სიმთვრალის დროს ბებუთით დასჭრა თავისი და. დაჭრილი სამკურნალოში გაჰგზავნეს, დამნაშავეს დაეძებენ.

*** 26 ამ თთვისას ამაღლების ქუჩაზე, ქვრივს ულიან ბაუსოვისას თოკზე გაფენილი 10 მანეთად ღირებული სარეცხი მოჰპარა ვართან მამიკონოვმა. დამნაშავე შეიპყრეს.

*** ამავე დღეს, ამაღლებისავე ქუჩაზე, ვასილ ტროიცკის სახლი გაუტეხეს და 300 მან. ნივთეული მოჰპარეს. პატრონმა ეჭვი გამოაცხადა იმასთან მოსამსახურედ ნამყოფს გორის მცხოვრებელს გიორგი თეოდაშვილზე.

*** მიხეილ სუმბათოვმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ წუხელ ნიკოლოზის ქუჩაზე სახლი გამიტეხეს და 180 მან. ფული და ნივთეული მომპარესო. პატრონმა ეჭვი გამოაცხადა ერევნის მცხოვრებელს ჰასან-ყაზიევზე და ალექსანრე ლუცენკოზე, რომელნიც უკვე შეიპყრო პოლიციამ.

*** 25 დეკემბერს ელისაბედის ქუჩაზე, ჩითახოვის სახლებთან, იპოვნეს მიგდებული ბავშვი და საბებიაო ინსტიტუდში გაგზავნეს.

*** ამავე დღეს ყორღანოვის ქუჩაზე მცხოვრებელმა 75 წლის ივანე ციბელსკიმ რევოლვერი დაიცა პირში და თავი მოიკლა.

*** 25 დეკემბერს „იუჟნის“ სასტუმროში თეატრის დეკორატორმა მიხეილ ფომენკომ გვერდში რევოლვერი დაიცა. დაჭრილს სწამლობს მკურნალი მაისურიანცი.

*** სოფ. კეზატის მცხოვრებელმა ლავრენტი ხურიძემ პოლიციაში გამოაცხადა, რომ 24 დეკემბერს კრწანისში სოფ. მალალაკის მცხოვრებელმა სერაფიონ ჯიბლაძემ დანით დამჭრა გვერდში და სადღაც დაიმალაო. დაჭრილი სამკურნალოში გაგზავნეს, დამნაშავეს დაეძებენ.

## წვრილი ამბავი

ამ დღეებში პარიჟის სხვა-და-სხვა მაღაზიისა და კანტორის მოსამსახურე 600-მდე ქალს კრება გაუმართავს; კრებას თავმჯდომარეობდა ანდრე ჟელი. ეს კრება პარიჟელ ქალებისა გამოუწვევია შემდეგ გარემოებას:

საფრანგეთის მთავრობას საპარლამენტო კომისია აურჩევია იმის შესახებ, რომ დედაკაცთა და მამაკაცთა მუშაობის საქმეს უკეთესი წესი და რიგი მიეცეს. ეს კომისია იმ აზრისაა თურმე, რომ დედაკაცთა მუშაობის საქმის შესახებ პროექტი ცალკე გაარჩიოს და ცალკე კანონები დაწესდეს და მამაკაცთათვის ცალკე. აი ამ კომისიის სახელმძღვანელოდ აღნიშნულ ქალების კრებას რა დაუდგენია:

1) ის წეს-რიგი, რომელიც მამაკაცთა მუშაობის შესახებ არის შემოღებული, მიღებულ იქმნას სავაჭრო დაწესებულებაში მოსამსახურე ქალების შესახებაც.

2) დაწესდეს: დღე-და-ღამე რვა საათის მეტს ნუ ამუშავებენ ქალებსა და კვირაში ერთი დღეც დასასვენებლად მიეცეთ.

3) ღამე ნუ ამუშავებენ ქალებს.

4) ფეხმძიმობის დროს ექვს-კვირას ლოგინად დაწოლამდე და ექვს კვირასაც შემდეგ ქალების მუშაობა აღიკრძალოს;

5) აღიკრძალოს ის ჩვეულება მაღაზიის და კანტორის პატრონთა, რომ თავის მომსახურე ქალებს ქუჩაში, კარებთან ალოდინებენ ხოლმე.

6) აღიკრძალოს ქალების ფეხზე დგომა და ისე მუშაობა; ამისათვის სავალდებულო იყოს მაღაზიის და კანტორის პატრონთათვის მომსახურე ქალებს დასაჯდომი ჰქონდეთ მუშაობის დროს; და

7) უკვე შემოღებულია განსამართლება ფულის პატრონთა და მომსახურე მომუშავეთა შორის, ეგრედ წოდებული Conseils de prud'hommes, ესე იგი სამართალი საქმის მცოდნე კაცებისა ყველა სავაჭრო დაწესებულებაში მომსახურე ქალისა და კაცისათვის ერთნაირად იყოს შემოღებულიო.

— ლონდონში გარდაიცვალა გამოჩენილი ბუნების მეტყველი რიჩარდ ოვენი, 88 წლისა. ოვენმა სამეცნიერო ნაწერებით, უფრო „პალეონტოლოგიის“ მეცნიერებაში, დიდი სახელი მოიხვეჭა.

— ფრანგული გაზეთი „Figaro“ აი როგორ ახასიათებს ახალ პრეზიდენტს ამერიკის შეერთებულ შტატებისას: «კლიველენდიო, ამბობს გაზეთი «ფიგარო», გარეგან შეხედვით მშვენიერი ვაჟკაცი არ არის, სასტიკი შეხედულობა აქვს და გეგონებათ, ბოროტი კაცი უნდა იყოსო, მაგრამ ეს მხოლოდ გარეგან შეხედულობით. კლიველენდი უწინ ვექილი იყო, მაგრამ მჭევრ-მეტყველებას-კი ძლიერ მოკლებული. ამიტომ იმდენს არ ლაპარაკობს, რამდენსაც სწერს; მეხსიერება ჩინებული აქვს. მართალი კაცია და გონების თვისებით ის ბევრით მოგაგონებთ «რკინის კანცლერს» — ბისმარკს. მდიდარი არ არის, მაგრამ ზომიერი ცხოვრებისათვის საკმაოდ აქვს ქონება. როცა ამ რამდენისამე წლის წი-

---

სონას ამხანაგი ყმაწვილი ქალიც შედიოდა ქრისტინესთან. მაგრამ ქრისტინე ამ ქალთან უცხოდ ჰგრძნობდა თავს; მერე კიდე ისიც ახსოვდა, თუ როგორ ურცხვად გაჰყვა ის ქალი ოთახში იმ ვიღაც კაცს. ამიტომ მდუმარებით მიიღებდა და ისტუმრებდა ხოლმე ქრისტინე ამ ქალს, თუმცა ეს უკანასკნელი ცდილობდა ქრისტინეს დაახლოვებას და იმის გულის მოგებას.

ეს მესამე ყმაწვილი ქალი ტფილისელი იყო. ამისი მამა ერთ კანცელარიაში მსახურობდა მწერლად და, თუმცა ღარიბად, მაინც ჯამაგირით არჩენდა ცოლსა და წვრილშვილს. შემდეგ, არ ვიცი რა მიზეზით, სამსახურიდგან დაითხოვეს. დარჩა უსაქმოდ, მიჰყო ხელი ლოთობას. უიმისოდაც ღარიბი მისი ოჯახი ეხლა უფრო გაღატაკდა. მისმა მეუღლემ ველარ აიტანა სიღატაკე და ქმრის ცუდი ყოფა-ქცევა, ჩავარდა ჭლექად და მცირე ხანს შემდეგ დალია სული. დარჩნენ მცირეწლოვანი შვილები ლოთის მამის ამარად, ხშირად ხმელი პურიც-კი არ მოეპოვებოდათ საზრდოდ. უპატრონოდ დაყრილი ბავშვები დაეხვივნენ ქუჩა-ქუჩა წანწალს და, ვინ იცის, რა გარყვნილებას არ ჩადიოდნენ და სად არ ეგდნენ მთელის დღის და ღამის განმავლობაში! დაიზარდნენ ამ თრევა-წანწალში. მამა მოუკვდათ, მაგრამ, თუნდა ცოცხალიც ყოფილიყო, შვილებისთვის მაინც ვერაფერი იმედი იქნებოდა. მამის სიკვდილის შემდეგ შვილებმა მიჰყიდ-მოჰყიდეს, თუ-კი რამ კიდევ გადარჩენოდა იმათ ლოთ მამას გაუყიდელი, გაინაწილეს ფული და გაშორდნენ ერთმანეთს. ამის შემდეგ უფროსი ქალი აეკვიატა ერთს სხვა ქალაქში ვიღაც მოქეიფე ყმაწვილს და მას უკან აღარავის გაუგია, რა მოუვიდა—მკვდარი იყო, თუ ცოცხალი; ერთი ვაჟი ციმბირში დაჰკარგეს, ვიღაც მდიდარის კაცის მოკვლისა და გაცარცვისათვის; მეორე ძმა (სულ ხუთნი იყვნენ—ორი ვაჟი და სამი ქალი) ლოთობა-კინტოობაში ატარებდა თავის სიცოცხლეს; ერთი ქალი მოკვდა; ყველაზედ უმცროსმა, ლიზამ, ის იყო, ნატალიასთან იპოვა თავ-შესაფარი. ლიზა არ იყო მაინცა და მაინც ლამაზი ქალი. მაგრამ მისი სიყმაწვილე და ჯან-საღობა ავსებდა ამ ნაკლს.

ერთს დღეს ნატალიამ და სონამ ქრისტინე ცირკში წაიყვანეს. ამან ცოტათი გაართო ქრისტინე. იმ ღამეს კარგ გუნებაზე დაიძინა. მეორე დღეს ჩვეულებრივ შემოაწვა გულზე სევდა. მაგრამ ნატალიამ ფაეტონში ჩაისო და სასეირნოდ წაიყვანა. ეტყობოდა, ამ სეირნობამაც დიდად ასიამოვნა ქრისტინეს. გავიდა კიდევ ხანი და ქრისტინე ცოტ-ცოტათი შეეჩვია თავის მდგომარეობას. ნატალია ამჩნევდა ამას და ძლიერ სასიამოვნოდაც ჰქონდა.

— აკი გითხარი, ქალო, შეეჩვევი-მეთქი. ეხლა ხომ აღარ ხარ სკუჩნათ? შეილაპარაკა ერთ დილის ნატალიამ და შევიდა ქრისტინესთან.— ეხლაც აღარ გადმოხვალ ჩვენთან? არ გირჩევნია ჩვენთან იძინო? ჰკითხა მან ბოლოს.

— აქანაი რა მიჭირს?—უპასუხა ქრისტინემ.

— აქ მარტოთა ხარ, მოგწყინდება. იქ-კი ყმაწვილები დადიან, გაერთობი,—იქ სჯობია.

მე აქანაი მირჩევნია.

— მართალია, შვილო, გირჩევნია. მაგრამ აქ ქალაქია, ყველაფერი ფული ღირს. ჯერ ოთახის ქირა, მერე ხარჯი, ცოტა არ არის. ყველას თავისი ანგარიში აქვს. თუ შენვე არ ეცადე, შვილო, ვინ უნდა დაგარჩინოს? ჩვენ თითონაც ძლივს გამოგვაქვს თავი. თუ ჭკუით მოიქცევი, შენისთანა ანგელოზს თავის რჩენა რათ გაგიჭირდება! აი სონა და ლიზაც თავისთავით ცხოვრობენ. მოდიან ყმაწვილი კაცები, ატარებენ დროს და ფულს აძლევენ. შენ ხომ ბევრად ლამაზი ხარ სონასა და ლიზაზე, შენ უფრო ბევრს გაჩუქებენ ფულს.

ქრისტინე თვალებ-გაშტერებული უყურებდა დედაბერს, რომლის ლაპარაკიდგან ბევრი ვერც-კი გაიგორა. ისე-კი მიხვდა საზოგადო აზრს, რომ დედაბერი სახლის და ხარჯის ფულს სთხოვდა და თან აჩვენებდა გზას საიდანაც უნდა შეეძინა ქრისტინეს ეს ფული. ქრისტინემ ვერ მოახერხა პასუხი დედაბრის სიტყვებზე, „სონა თუ დამიხსნის, თუ არა, სხვა რა გზაი მაქ!“ ფიქრობდა უბედური.

— მოიფიქრე, შვილო, მოიფიქრე! ურჩია ბოლოს დედაბერმა და გავიდა გარედ. ამას შემდეგ, სონა რომ შევიდა, ქრისტინე მეტად დაღონებული დაუხვდა,

— რა დაგმართია? ჰკითხა სონამ.

— ნატალია არ მაყენებს, ქირა მომეციო. უპასუხა ქრისტინემ,—სად ვიშოვნო ფული? ჩამჩემებია, ყმაწვილი კაცები გაჩუქებენო. მე, სონა, სიავე რაც ვქენი, იგიც მეყოფა! მშიერი მოვკტები და ამას ვერ შევიძლებ; სონა, მომეხმარე, ვინმესთან გოგოთ დავდგები, ერთ ნატეხ მჭადს და ძველ-ნაცმევ ტანსამოს ნუ დამამადლიდეს, და სხვაი არ მინდა. შენი ჭირიმე, სონა, მომეხმარე რამე!

— რა უნდა ვქნათ, ჩემო ქრისტინე! აქ ძალიან ძნელი საპოვნია სამოჯამაგირო ადგილი. ათასი მშიერი ქალი და კაცი ტრიალებს ამ ქალაქში და ეძებს მოჯამაგირეთ დასადგომ ადგილს, მაგრამ მეათედიც ვერ შოულობს. მერე კიდევ შენ, სადაც უნდა დადგე მოჯამაგირეთ, ძალით იქნება, თუ ნებით, ერთ დღეს მაინც ვერ ასცთები იმას, რისაც ახლა ასე გეშინია. გოგოები სოფელშიც ვერ ინახავენ თავს წმინდათ, თორემ ტფილისში, რა სათქმელია! ამიტომ გირჩევ, ამ თავითვე შეურიგდე ბედს. რა ვუყოთ! მეც ვიცი, რომ კაი საქმე არ არის. მაგრამ რას იზამ, ჩვენს ილბალს რომ აქ მოვუყვანივართ! არაფელია, პირველად გაგიძნელდება, მაგრამ ადრე შეეჩვევი. განა ჩვენ ადამიანები არ ვართ, რო შევეჩვიეთ!

— რა ვქნა, სონა, ისე მეშინია, შემჭამენ, მგონია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნედ ნიუ-იორკის გუბერნატორად ამოირჩიეს, კლივლენდმა გააუქმა გუბერნატორის კანცელარია და დაითხოვა ყველა მოხელენი. კარის კაცს უბრძანა, რომ გუბერნატორის სახლის კარი ყველა მთხოვნელებისთვის ღია ყოფილიყო და დანიშნულ დროს ყველა მთხოვნელი პირდაპირ მის ოთახში შესულიყო. როცა პრეზიდენტად ამოირჩიეს პირველად, მაშინაც გაადვილა კანცელარიის საქმის წარმოება. ოთხ წელიწადს იყო პირველად ამერიკის პრეზიდენტად კლივლენდი და ამ ხნის განმავლობაში ერთ მთხოვნელისთვის უარი არ უთქვამს თავის სახლში მიღებისა. აი ამიტომ დიდი სახელი მოიხვეჭა ხალხში, და ახლა ის აირჩია თავის პრეზიდენტად ამერიკის ხალხმა. გუბერნატორის სახლშა უბრალოდ ცხოვრობდა კლივლენდი და ისეთივე დარჩა საპრეზიდენტო, ეგრედ წოდებულ, «თეთრ სახლშიც!»

## წერილი რედაქციის მიმართ

„ივერიის“ 271 ნომერში დაბეჭდილი საეჭვო ამბავი ახალ-სენაკიდამ, ვითომც აშორდიას რედაქტორობით ჩემს სტამბაში განზრახული იყოს ბეჭდვა მეგრულს ენაზედ გაზეთისა „მეგრელია“ და ვითომ მე მეკისროს გამოცემა ბ-ნ აშორდიას მიერ ნათარგმნ მეგრულ წიგნებისა.

საჭიროდ ვრაცხ ვსთქვა, რომ ეს ამბავი მართალი არ გახლავთ და მიკვირს ვინ მოიგონა. მე აშორდიას სრულიად არ ვიცნობ და არც ვიცი, რა გაზეთისა, და რა წიგნების გამოცემა შეიძლება მეგრულს ენაზედ.

კ. თავართქილაძე

ახალ-სენაკი, 21 დეკემბერი

## ნაბოლარი

### ბატონები

### III

საქალაქო წესდებით, ქალაქის დიდი ბატონი—სახლის პატრონია; უმთავრესი წყარო შემოსავლისა—ქალაქის სახლია, ანუ მამული; შემოსავალი მთელს ქალაქს, ანუ თვით ბატონს ჰხმარდება, მხარჯველიც—თვითონვე ბატონია.

ვისი ბრალია, თუ შემოსავალი გასავალს ვერა ჰფარავს, თუ ქალაქის საერთო ჯიბე ცალიერია? თუ ქალაქის ბატონი ჯიბიდგან არას ამოიღებს, ვერცა რას დახარჯავს; თუ ხარჯვა უყვარს, თუ უნდა, რომ კარ-მიდამო და ქუჩა-მოედანი ლამაზიანად ჰქონდეს, სახლის წინ მუდამ ჩირაღდანი ენთოს, თვითონ ბატონს და მის ქონებას დღე-და-ღამ დარაჯი ეყენოს,—ჯიბიდგან ფულის ამოღებაც არ უნდა ეზარებოდეს.

მერე, ეზარება?

უჰ, ეზარება და ეგრე! რომ არ აწუხებდნენ და ძალას არ ატანდნენ, თავის ნებით ხუთს კაპეიკსაც არ შეიტანს ქალაქის ხაზინაში. რა წუწუნს დაიწყებენ, რა კვნესა და ოხვრა ატუტდებათ ხოლმე ქალაქის ბატონებს, მთავრობა რო მოვალეობას აღსრულებას მოაგონებს.

— ფული არ არის, ვაშ—სტკო, ვაშ—პ—ტკო, ქალაქი ღარიბია, აი, თუ არ გვერწმუნებით, ჩვენი კასა შეამოწმეთ, სულ ცალიერია.

ბატონს რო შეეძლოს, ქვეყანას უმად გაიხდიდა და გაიხადა კიდეც. წაიკითხეთ ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვა და დაინახავთ, რომ იმ ფულიდგან, რომელიც ბატონის საჭიროებასა და საამოვნებას უნდა მოხმარდეს, თვითონ იმას ნახევარიც და თითქმის მესამედიც არ შეაქვს. ისე აჰერხებს ბატონი, რომ ჯერ სხვას გამოუცალიერებს ჯიბეს და მერე თვითონაც „ერთ რამეს“ დაადებს: „მშვიდობით საწყალო მანეთიო!“

უმთავრესი წყარო ქალაქის შემოსავლისა, კანონით,—ქალაქის სახლების-მეთქი.

ქალაქის სამმართველომ უნდა დააფასოს ქალაქის მამულები, შემოსავლის გვარად, და ათის თავი (10%) იღოს ყოველ წელს სახლის-პატრონისაგან ხარჯის გასასტუმრებლად. შეიძლება ეს შემოსავალი არ ეყოს ქალაქსაო, უფიქრნია კანონ მდებელს და სხვა, მეორე ხარისხის წყაროები უჩვენებია, თუ გაგიჭირდა იქიდგან შეგიძლიან შეივსო დანაკლისიო. ქალაქის ბატონებმა ამ სხვა წყაროებს მიჰმართეს და სწრუპავენ, თავიანთ წყაროს-კი მეტად ერთგულად უფრთხილდებიან.

ხომ იცით, ქალაქის ბატონები როგორ გაასავსავებენ ხოლმე ხელებს, როდესაც სახლებისაგან შემოსავლის, „აცენკის“, მომატებაზე ჩამოვარდება ლაპარაკი.

მართალია, კანონით, ათის თავი შეიძლება ვიხადოთო, და ეხლა მხოლოდ ასზე რვა-ცხრას ვიხდითო, მაგრამ მეტის გადახდა აღარ შეგვიძლიანო; ვიღუპებით, შეგვიბრალეთ, რომ იცოდეთ ჩვენი დარდი, მაგაზედ კრინტსაც არ დასძრავდითო; სახლები გვაქვს და შემოსავალიკი არსად სჩანს, ქალაქის ხარჯსაც ვერ ავდივართო.

ვითომ?!

ქალალდით, მართალია, რვა-ცხრა სჩანს ასზედ, მაგრამ საქმით-კი მალიან საეჭვოდ მიმაჩნია ბატონების წუწუნი. თვითონ ბატონებსაც კარგად მოეხსენებათ, რომ ქალაქის მამულები არ არის რიგიანად დაფასებული. ვერც ერთს მამულს ვერ მიჩვენებთ, რომ ნამდვილი ფასი ედოს.

ქალაქის სამმართველო ბატონების ხელშია, მამული იმათია და დამფასებლებიც თვითონვე არიან. აბა, გაიგე ხომ არავინ არის, თავისი ჯიბე აზარალოს. თუ მამული ღირს ათასი თუმანი, ხუთასს, ან კიდევ ნაკლებს ჩასწერენ, და გარდასახადიც იკლებს. მართალია, ამით ქალაქს ბევრი ათი-ათასი თუმანი აკლდება და, თუ დღეს ქალაქის მამულები ნახევარ მილიონს მაინც უნდა იძლეოდნენ, ამის მესამედსაც არ იხდიან ბატონები, მაგრამ ფული ხომ ისევ ბატონებს რჩებათ ჯიბეში, და არც თუ ქალაქს აზარალებენ: სხვა რამ ხარჯს მოიგონებენ და ქვეყანას გააწერენ. დაამძვირებენ შეშას, პურს, ხორცს, ყველა საცხოვრებელს და წყალსაც-კი. მართალია, აქ საწყალი ხალხი უფრო იჩულიტება, მაგრამ, მოგეხსენებათ, ბატონს სხვის დარდის ზიდვა არ შეუძლიან.

უოველივე ეს მარტო ტფილისზედ-კი არ ითქმის. ყველა ქალაქების სამმართველო, რომელიც 1870 წ. წესდებულობით ხელმძღვანელობს, ესე იქცევა და არც-თუ სხვაფრივ მოსალოდნელია, უკეთუ მთავრობამ ამ შეუფერებელს საერთო ამბავს ყურადღება არ მიაქცია და მამულების დაფასების რიგი არ შესცვალა.

ეხლა, როდესაც 1870 წ. საქალაქო კანონი შეიცვალა, ჩვენს ბატონებს ცოტა ფრთა შეეკვეცათ და ქალაქის სამმართველო გუბერნატორებს დაუხელქვეითდათ,—შესაძლებელია გუბერნატორებმა მამულების ახალი დაფასება მოახდევინონ და დამფასებელ კომისიის ხელ-მძღვანელად მთავრობის წარმომადგენელი დაუნიშნონ, რომელთაც მამულის ფასის დამცირებით არავითარი სარგებლობა არ ექნებათ. მხოლოდ მაშინ შეიძლება გათანასწორდეს საქალაქო გარდასახადი მდიდარსა და ღარიბს, დიდს ბატონსა და უბრალო მშრომელს შორის.

ფ.

# დეპეშა

### 25 დეკემბერი

**პეტერბურგი.** პარიჟის გაზეთში „Livre Parole“ დაბეჭდილია წერილი მორესისა ფლოკეს მიმართ. ამ წერილით მორესი ჰკითხავს ფლოკეს, პანამის საზოგადოების ფულიდგან მიეცი თუ არა ½ მილიონი ფული რუსეთის დიპლომატად ნამყოფს და შემდეგ „Н. Время“-ს თანამშრომელსაო. ფლოკემ განუცხადა „Нов. Время“-ს პარიჟის კორესპონდენტს, მორესის თხოვნაზედ პასუხს არ გავსცემო; მორესმა სთქვა, ფლოკეს იძულებულ გავხდი, პასუხი მომცესო. „Нов. Время“ სწერს დღეს, რომ უეჭველია, ცილს ტატიშჩევსა სწამებენო, და თანაც დასძენს: „ჩვენ ვაიძულებთ მორესსა და მის ამხანაგთ, რომ ბრძოლა გაგვიწიონ, რადგანაც ჩვენ თითონ გაუწევთ ბრძოლას, და არა გვსურს უყურადღებოდ დავტოვოთ ეს ამბავი, რადგანაც სამარცხვინოდ მიგვაჩნია რომელ საქმეშიაც უნდა იყოს, ვემსახუროთ უცხო ქვეყნის მთავრობას და ამიტომ, რადაც უნდა დაგვიჯდეს, ვეცდებით, ცილისმწამებელთ სრული სიმართლე ვათქმევინოთ“-ო.

**პეტერბურგი.** 24 დეკემბერი. პეტერბურგის ბირჟა. ტფილისის სათავად აზნაურო ბანკის გირავნობის ფურცლებში იძლევიან: 6%-ანში $102\frac{1}{4}$ მანათს, 5%-ანში 100 მან. ქუთაისისაში: 6%-ანში — $102\frac{1}{2}$, 5%-ანში—100, ტფილისის საკრედიტო საზოგადოების ფურცლებში-$98\frac{3}{4}$ მან.

**პეტერბურგი.** პერმის გუბერნატორი ლუკოშკო თავისისავე, თხოვნით, დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან. მის მოადგილედ დანიშნულ—იქმნა მინსკის ვიცე-გუბერნატორი პოგოდინი.

მისი ყოვლად უსამღვდელოესობა ასტრახანის ეპისკოპოზი ისააკი, ავადმყოფობისა გამო, განთავისუფლებულ იქმნა ეპარქიის მმართველობისაგან. მოგილევის ეპისკოპოსი პავლე დანიშნულ იქმნა ასტრახანის ეპისკოპოსად, ხოლო ჩიგორინსკის ეპისკოპოსი ირინეი—მოგილევის ეპისკოპოსად.

**პარიჟი.** სასამართლოში მიიწვიეს საზოგადო საქმეთა მინისტრი ბეგო; ბეგოს კანცელარიის მოხელედ ნამყოფი ბლონდელი დააპატიმრეს.

### 26 დეკემბერი

**პარიჟი.** უკეთუ მინისტრად ნამყოფს ბეგოს ბრალი დაედება პანამის საქმის გამო, იმისი გასამართლება მოხდება სენატის მიერ, რომელიც ამ შემთხვევისათვის უზენაეს სამსჯავროდ იქნება გადაქცეული. გუშინ Palais de justice-ში ჩამოართვეს ჩვენება ბეგოს, ვითარცა ბრალდებულს. ამბობენ, რომ მძიმე დანაშაული ბრალდებაო. ანდრიე უარს ამბობს, სხვებს აღარავის დავასახელებო. მოელიან ბანკირ მერი რენოო გამოძიების საბუთების გამოქვეყნებას. ეს საბუთები სახელს

---

— ვიცი. პირველათ ისე გეჩვენება, თორემ აბა მერე ნახე, თუ შეგეშინოს!

— არა, სონა, ამას ნუ მეტყვი. შენ იმდონი სიკეთე მიყავი, რომ თუ გაქ, ნატალიას მიეცი ჩემ მაგიერ ქირა. ამასობაში, ღმერთი მოწყალეა, რამეს გევიკლოვ, ვინმე დიდ კაცს გოგო რავა არ დასჭირდება!

სონას გაეცინა და მერე უთხრა:

— აბა რა უნდა გაიკვლიო, ქრისტინე? ვინ გყავს შენ აქ, რომ გიპატრონოს? ჩვენისთანებს ნატალია, ან მისთანა ვინმე თუ უპატრონებს, ისიც მაშინ, თუ სარგებელს ჰხედავს შენგან, თორემ სხვა გზა სად აქვს. მერე კიდევ შენ პასპორტიც არ გაქვს. აქ თუ ნატალიამ არ მოგიხერხა რამე, პოლიცია დაგიჭერს და დედ-მამასთან გაგზავნის. ნატალია, იცოდე, თუ მის პირობაზე არ დაეთანხმე, შენთვის თავს არ შეიწუხებს.

შესაძლებელია, სხვა ქალისთვის სონას ასეთი გულითადი რჩევა არ დაეწყო. პირიქით, ქრისტინეს ადგილზედ რომ სხვა ქალი ყოფილიყო, სონა ეტყოდა: „დედაკაცო, რას მეტიჩარაობ! განა შენ ჩვენზე უკეთესი ხარ, რომ ვერ გაგიმეტებია თავი! ბევრს ნუ ლაპარაკობ, ან შემოდი ჩვენთან ფსონში, ან არა აქედგან დაგვეკარგეო!“ მაგრამ ქრისტინე ისეთი რბილი არსება იყო, რომ, რაც უნდა გულ-ქვა ყოფილიყო ადამიანი, მაინც სიბრალულსა და სიყვარულს იგრძნობდა მის მიმართ. სონას რჩევამ ძლიერ დააფიქრა ქრისტინე. იმ დღეს არც სადილი უჭამია და არც ვახშამი. ნატალიას, თითქო ენდური სო, ხმას არ სცემდა. „რა უნდა ვქნა!—ფიქრობდა ქრისტინე — შინ დაბრუნება აღარ შემიძლია. ან, რომ თქვას კაცმა, შინ არ იყო, რომ სამჯერ მივედი წყალზე თავის დასარჩობათ? მართალია, მე შინა მიყვარს, ცას და ქვეყანას მირჩევნია, მარა მე აღარ ვუყვარვარ შინას, ყოლ დღე იმას მიჩიოდენ—მომკტარიყავი, უკეთესი იყოვო. ახლა მაინც, რომ მივიდე, ბაბას ვერ გადავურჩები მოუკლავი. არა, შინა აღარ არის ჩემთვის! გავათავე, მოვშორდი შინას! აწი აქანაი უნდა გევიკვლიო რამე. მარა რაი? სონამ მართალი თქვა: ვინ მყავს მე აქანაი პატრონი? ნატალიეი, თუ სარგებელს არ ხედავს, არ დაგაყენებსო! სონას თუ რამე დუურჩა, არ დამადლის. მარა რა აქ? ისიც ნატალიეის ხელშია. ან რეზა უნდა მომცეს სონამ! თუ გინდა, შენც ჩემსავით იშონეო, მეტყვის. იმან რომ არ მითხრას, ჩემითაც უნდა ვიფიქრო. გოგოთაც რომ დადგე ვინმესთან, მაინც ვერ გადურჩებიო! აბა რა ვქნა! შეეჩოვიო, სონამ. არა, ვერ შევეჩოვი! მოვკტე, ვერ შევეჩოვი! ვერა, ვერა!“ იწყებდა, „ათავებდა და ხელ-ახლავ უბრუნდებოდა ქრისტინე ამავე ფიქრს. ასე გაატარა მთელი დღე. თავი საშინლად უხურდა და სტკიოდა. დაღამდა. ქრისტინე დაწვა ლოგინში. მაგრამ ძილი-კი არ ეკარებოდა. რამდენსაც უფრო უკვირდებოდა თავის მდგომარეობას, იმდენად უფრო უნუგეშოდ და ყოველ მხრივ გზა-მოჭრილი ჰგრძნობდა თავს. შუაღამე გასული იყო, როცა ფიქრებისაგან მოქანცულს ქრისტინეს დაეძინა. მეორე დღეს რომ გაიღვიძა, თავიც და გულიც ისე დამძიმებული ჰქონდა, თითქო ლოდები ჩაუწყვიათ შიგაო. გამოღვიძების შემდეგ დიდხანს თვალგაშტერებული იწვა. შემდეგ თითქო რაღაც ახალი ფიქრი დაეძრა, მაგრამ ვერ გამოერკვია ჯერ კიდევ. „სონამ მართალი თქვა: ჩემს იღბალს ასე უჭრია. რა ვქნა, თავს ხომ ვერ მევიკლავ! ვითომ მე სონაზე უკეთესი ვარ, მის ტოლობას რომ არ ვკადრულობ! სონა თუ-კი შეეჩვია, მე რა-და ვარ! მეც შევეჩოვი. რა ვუყო, შევეჩოვი!“ გარკვევით გაურბინა თავში ფიქრმა, უკანასკნელ კიდევ გაიმეორა ეს გადაწყვეტილება და ბოლოს დაეთანხმა კიდეც, თითქო ამის წინააღმდეგ აღარ მოიძებნება რამ მოსაზრებაო. დიაღ, გადასწყვიტა დასდგომოდა იმ გზას, რომლის გარდა, მისის ფიქრით, სხვა გზა არ არსებობდა. მაგრამ ამასთან ისეთი სევდა შემოაწვა გულზე, თითქო ამ ქვეყნიერებას სტოვებს და სხვა პლანეტაზე მიდის ძალა-უნებურადაო, თითქო ყოველივე რაც უყვარდა, რაც ცოტაოდნად მაინც მის გულს ათბობდა, რასაც პატივსა სცემდა, უფსკრულში შთაინთქაო. თითქო უნდა გამოიტიროს ყოველივე ესეო, წასკდა ცხარე ტირილი. დიდხანს, დიდხანს სტიროდა პირ-ქვე დამხობილი. ბოლოს ადგა, მოიწმინდა ცრემლები და შევიდა ნატალიასთან.

— რა ამბავია, ქალო, თვალები რომ ტირილით დაგისივებია! უთხრა გულ-მტკივნეულად ნატალიამ.

ქრისტინეს ყურადღებაც არ მიუქცევია ნატალიას სიტყვებისთვის.

— მე იმიზა მუვედი, მეც სონასავით შენთან მინდა დავდგე,—ცივად უთხრა დედაბერს.

— აკი გითხარი, შვილო, ჩემი ხარ-მეთქი! მე რომ თვალს შევავლებ, მერე ჩემია! მე ვიცი შენი პატივისცემა! სიხარულითა და ალერსით შესძახა ნატალიამ.

სონამ შეჰხედა ქრისტინეს თვალებზე და რაღაც სიბრალულით უთხრა:

— გეტყობა, კარგი გლოვა-ტირილი გადაგიხდია ამ საქმის გადაწყვეტაზე! ქრისტინემ მხოლოდ ნაღვლიანად შეჰხედა თავის დიდრონ ცისფერის თვალებით, მაგრამ-კი არა უპასუხა-რა.

იმ საღამოს ნატალიამ თავის ზანდუკიდან ამოიღო ერთი ხელი ტანისამოსი, მორთო ქრისტინე და ფაეტონით წაიყვანა სადღაც, საიდგანაც თითონ ნატალია იმ საღამოსვე დაბრუნდა, ქრისტინე-კი მეორე დილას მოიყვანეს ფაეტონითვე.

ამას შემდეგ ჩქარა გაითქვა ქრისტინეს სილამაზე ტფილისის მოქეიფე ყმაწვილ კაცებში. არ ვიცი, როგორ მოახერხა ეს ნატალიამ, მხოლოდ ეს კია, რომ ქრისტინეს ტფილისში ყველა ურიის ქალად იცნობდა და სახელად რახილას ეძახდნენ.

ე. ნინოშვილი

(შემდეგი იქნება)

გაუტეხავს ბევრს დეპუტატსა და სენატორსაო.

**ლივერპული.** დაიწვა ექვს სართულიანი სახლი, რომელშიც იყო 11,000 ბარდანა ბამბა 200,000 გირვანქა სტერლინგისა.

27 დეკემბერი

**პარიჟი.** პოლიციამ სახლი გაუჩხრიკა მოუსვენარ ანარქისტებს; ზოგი მათგანი განდევნილ იქმნებიან საფრანგეთიდან.

**ვაშინგტონი.** განზრახულია, არა სასურველ გადმოსახლებულებში ჩაირიცხონ წევრნი ისეთის ამხანაგობისა, რომელნიც სიცოცხლის და ქონების მომასპობელთ ხელს უწყობენ.

28 დეკემბერი

**მოსკოვი.** დღეს მოვიდა ბუხარას ემირი.

პეტერბურგის ბირჟა, 22 დეკემბ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,98 | 8,99 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 159 | 159³/₄ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1,08 | 1,10 | — ,, |
| 5°/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 243¹/₄ |
| —მეორისა . . . . | 215 | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | 192 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6°/₀. . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5°/₀. . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6°/₀. | — ,, | — ,, | — ,, |
| 5°/₀. . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5°/₀ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | — ,, |

## ივერიის ფოსტა

**პ. ჭ—ძეს.** თქვენი გამოგზავნილი ლექსი დაბეჭდილი იყო ჟურნალ „ცისკარ“-ში. ტყუილად გგონებიათ, რომ არსად არ არის დაბეჭდილიო.

## გამოსადეგი ცნობანი

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე, მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსსიისკში, კ ვ ი რ ა ო ბ ი თ ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

ფოთიდგან გადის:

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

### ნ ი ხ რ ი

1892 წ. 1 დეკემბრიდგან ახალ განკარგულებამდე.

| | |
|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 კ. |
| წითელი „ 1-ის ხარისხ. „ | 4 „ |
| „ „ 2 „ „ „ | 3¹/₂ |
| „ „ 3 „ „ „ | 3 „ |
| თონ. წით. პურ. 1 ხარ. „ | 5 კ. |
| „ „ „ 2 „ | 4 „ |
| „ „ „ 3 „ | 3¹/₂ |

ჯვარის მამის პურის ლავაში.

| | |
|---|---|
| 1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. | 7 კ. |
| მე-2 „ „ „ „ | 5 „ |
| მე-3 „ „ „ „ | 4 „ |
| ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა | 7 კ. |
| სუკი — — — | 12 „ |
| ცხვრის ხორცი — — | 7 „ |

# განცხადებანი


„სიჭაბუკის ცოდვა“

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავაშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენცისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზედ დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს Otto Asperger Leipzig (საქსონიას). უცო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან.

(36—19)

კბილის ექიმი

**ა. ი. ორბელი**

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—150)

ЧИСТКА и ГИГІЕНА ЗУБОВЪ

ЗУБНЫЯ СРЕДСТВА

ЗУБНАГО ВРАЧА

АДЕЛЬГЕЙМЪ

МОСКВА, КУЗНЕЦКІЙ МОСТЪ, Д. БР. ДЖАМГАРОВЫХЪ

СКЛАДЫ ВО ВСѢХЪ ГОРОДАХЪ РОССІИ

ГЛАВНЫЙ СКЛАДЪ и КОНТОРА БОЛЬШАЯ ДМИТРОВКА СОБ. Д.

(22—4)


„წერა-კითხვის საზოგადოების“

**წიგნის მაღაზიამ**

მიიღო გასასყიდად შემდეგი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი . . . . . . | „ | 40 |
| ქართული კედლის კალენდარი 1892 წ. . . . | „ | 20 |
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი I, II და III ტომი თითო ტომი. . | 1 | 40 |
| იგივე მშვენიერს ქაღალდზედ და მშვენიერის ყდით, თითო ტომი ცალკე . . . . . . | 2 | 50 |
| სამივე ტომი. . . . | 7 | „ |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა . . . . . . | 1 | 80 |
| თხზლებანი ი. დავითაშვილისა . . . . . . | „ | 80 |
| მარაბდა, პოემა ან. ფურცელაძისა . . . . . . | „ | 20 |
| წყალობა, პოემა მისივე . | „ | 20 |
| სურამის ციხე, მოთხრობა ჭონქაძისა . . . . | „ | 25 |
| თამარ, სპარსული ლეგენდა . . . . . . | „ | 10 |
| დემონი ლერმონტოვისა, თარგმანი მამია გურიელისა. . . . . . | „ | 15 |
| ცდა I, II და III ნაწილი. თითო ნაწ. ცალკე. . | „ | 50 |
| სხვერპლი, მოთხრობა დ. კარიჭაშვილისა . | „ | 30 |
| ნაქვთები ბოთხრობანი დ. ერისთავისა . . . . | „ | 50 |
| თორნიკე ერისთავი, ისტორიული პოემა აკაკისა | 1 | „ |
| კიკოლას ნაამბობი, პოემა მისივე . . . . . . | „ | 20 |
| პატარა-კახი, ისტორიული დრამა ლექსად მისივე . | „ | 50 |
| საყმაწვილო ამბები მისივე | „ | 40 |
| ძმური სიტყვა, დ. მაჩხანელისა, მეორე გამოცემა. | „ | 25 |
| რამდენიმე მოთხრობა რაფფისა, ავტორის სურათით და მოკლე ბიოგრაფიით. . . . . . . | „ | 25 |
| სამი ცელქი, საყმაწვილო სურათებიანი წიგნი შ. მღვიმელისა . . . | „ | 20 |
| საქართველოს ისტორია ბაქრაძისა . . . . . | 1 | „ |
| ისტორიული ნარკვევი ალ. ჭყონიასი. . . . . | 1 | 50 |
| ქართული გრამატიკა არ. ქუთათელაძისა. . . . | „ | 40 |
| ქართული გრამატიკა თ. ჟორდანიასი . . . . | „ | 55 |
| თამარიანი ლექსად რ. ერისთავისა . . . . . | „ | 60 |
| თხზულ. რაფ. ერისთავისა II ნაწ. . . . . . | „ | 40 |
| ჰამლეტი. თარ. ინგლ. მაჩაბლისა . . . . . | „ | 30 |
| ოტელო, თარგმანი ინგლისურიდამ მისივე. . . | „ | 50 |
| ლექსები გრ. ორბელიანისა | „ | 50 |
| ლექსები ვახტანგ ორბელიანისა . . . . . | „ | 20 |
| სურათი შ. რუსთაველისა | „ | 60 |
| წმ. ნინოს ხატი . . . . | „ | 50 |


# ს ა ყ უ რ ა დ ღ ე ბ ო დ!

მომავალ დღესასწაულებისათვის ისყიდება საგანგებოდ ჩამოტანილი

**კახური ღვინოები**

ბოთლი 12 კაპ. ვიდრე 1 მან. და 50 კ., ვედრო 1 მან. და 80 კ. ვიდრე 12 მან.

პოდვალი იმყოფება ველიამინოვის ქუჩაზედ, წინამძღვრიშვილის სახლებში № 2.

ს. კურდღელოვი

# კახურის ღვინის ვაჭრობა

## ალექსანდრე ემელიანის ძის თუნიევისა.

ვუცხადებთ ჩვენს მუშტრებს და სხვათაც, რომ ტფილისში (მიხეილის ქუჩაზედ, № 72, მიხეილის საავადმყოფოს ახლოს) კახურის ღვინის ვაჭრობა გვაქვს გამართული 1870 წლიდგან. თუ შემოგვიკვეთავს ვინმე, კარგის ღირსებისას და პირიან ფასად ვგზავნით ღვინოს ყველგან. საუკეთესო ღირსების ღვინოების ყიდვისათვის შემდეგი ჯილდოები გვაქვს მიღებული.

პარიჟიდგან დიდი ვერცხლის მედალი, ჟენევიდგან (შვეიცარიაშია) დიდი ოქროს მედალი და პირველი ჯილდო ლენტით, ბრიუსელიდგან (ბელგიაშია) დიდი ოქროს მედალი, მარსელის აკადემიისაგან ორდენი საპატიო ლეგიონისა ლენტით, ნიცადგან (საფრანგეთშია) დიდი ოქროს მედალი და ჯვარი ლენტით აჟასიოდგან (საფრანგეთშია) დიდი ოქროს მედალი და ჯილდო ლენტით, ბორდოდგან (საფრანგეთშია) დიდი ოქროს მედალი და ჯვარი ლენტით, პარიჟის აკადემიისაგან ღვინის ღირსების შედარების შემდეგ დიდი ოქროს მედალი, ლონდონიდგან (ინგლისშია) დიდი ოქროს მედალი ჯილდო ლენტით, ყაზანიდგან ვერცხლის მედალი, ტფილისის მიხეილის საავადმყოფოსაგან ვერცხლის მედალი და ნიდერლანდის სამეფოდგან დიდი ოქროს მედალი და ნიშანი ლენტითურთ.

მ ო წ მ ო ბ ა ნ ი:

კავკასიის გამოფენის საპატიო მოწმობა, დიპლომი პარიჟის აკადემიისა, მე-43 დრაგუნთა ტვერის პოლკის მოწონების ფურცელი, მოწმობა ტფილისის მიხეილის საავადმყოფოსი, მოწმობა ამავე საავადმყოფოს ექიმებისაგან, მოწმობა კავკასიის სამკურნალო მმართველობისაგან, მოწმობა რკინის გზის სამკურნალოსაგან და მოწმობავე კავკასიის საზოგადო პრიკაზისაგან.

წიგნის მოსაწერი ადრესი: ქ. ტფილისი, ალექსანდრე თუნიევს (ღვინის საწყობი მიხეილის ქუჩაზედ, № 72.).

ალექსანდრე ე. თუნიევი.

(10—165—9)


საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

# „ივერია“

1893 წელსაც გამოვა ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს, იმავე პროგრამმით, რა პროგრამმითაც დღემდე გამოდიოდა. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . | 10 მ.—კ. | 6 თთვით . . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . . | 8 ,, 75,, | 4 ,, . . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ ,,ივერია" მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებ უნდა დაიბარონ გაზეთია შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты ,,ИВЕРІЯ".

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოინგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები და კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

Доз. ценз. Тифлисъ, 28-го Декабря 1892 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.